საქართველოს მთავრობის

დადგენილება №234

2024 წლის 22 ივლისი

ქ. თბილისი

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №464 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №464 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/07/2020, 340170000.10.003.022181) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის“:

1. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოიჯარის მიერ სააგენტოსათვის განცხადების წარდგენის ვადა არის პროგრამის ამოქმედებიდან 5 (ხუთი) წელი.“.

2. მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სააგენტო, განცხადების განხილვის მიზნით, უძრავი ნივთის პრივატიზების თაობაზე პოზიციას გამოითხოვს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან. სააგენტო აგრეთვე უფლებამოსილია, განცხადების განხილვის მიზნით, უძრავი ნივთის პრივატიზების თაობაზე პოზიცია გამოითხოვოს შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებ(ებ)იდან.“.

3. მე-5 მუხლის მე-8 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ სააგენტოში წარდგენილი იქნება უარყოფითი პოზიცია უძრავი ნივთის პრივატიზების შესახებ.“.

4. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მოიჯარემ უძრავი ნივთის საპრივატიზებო თანხა უნდა გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში.“.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედების თარიღიდან „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №464 დადგენილებით დამტკიცებული „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული საპრივატიზებო თანხის შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში გადახდის პირობა ავტომატურად გავრცელდეს იმ ბენეფიციარებზე, რომელთა სასარგებლოდ ამ დადგენილების ამოქმედებამდე გამოცემულია საქართველოს მთავრობის აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და გაფორმებულია შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება. ამასთან, აღნიშნული ბენეფიციარები, საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო, ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან არ თავისუფლდებიან.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**